ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1292

გამარტივებული შესყიდვა

საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად

დაფინანსების წყარო 2018 წლის ბიუჯეტი

ქ. თბილისი

12 ნოემბერი 2018 წ.

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული ''შემსყიდველად'', წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **გიორგი ჩოგოვაძის** სახით **შპს "ზადაგი"** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ 1.ბ.3, ფაქტიური მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 1,6 კმ; საბანკო რეკვიზიტები: სს ''თიბისი ბანკი'', TBCBGE22 ანგ: GE89TB7759436080100001 ს.კ. 404907222) შემდგომში წოდებული ''მიმწოდებლად'', წარმოდგენილი მისი დირექტორის **ინგა ყაჯრიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ''მხარეები'', ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვა

(ქ.ბაქოში დაგეგმილი ღონიზძიებისათვის ნუგბარის შეძენასთან დაკავშირებით)

(CPV-15842000)

3. ხელშეკრულების ღირებულება, ვადები და მიწოდების ადგილი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **550.00** (ხუთას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 საქონლის მოწოდების ბოლო ვადაა: **2018 წლის 12 ნოემბერი.**

3.5 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა)შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა)უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 **ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი ანა კეკელია ან მისი მოვალეოის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი მიწოდებულ საქონელში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მიწოდებული საქონელის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი ანა კეკელია ან მისი მოვალეოის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.2წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4

ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ს/კ - 204578206

მიმწოდებელი
შპს "ბადაგი"

მისამართი: იურ. მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ 1.ბ.3, ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 1,6 კმ
ტელეფონი: 555 44 83 55
საბანკო რეკვიზიტები: ''თიბისი ბანკი'', TBCBGE22 ანგ.# GE89TB7759436080100001

ს.კ. 404907222

ხელმძღვანელი

გიორგი ჩოგოვაძე

დირექტორი

ინგა ყაჯრიშვილი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა (ლარებში)
1	თხილის ჩურჩხელა რქაწითლი სტანდარტული	100 ცალი	2.50 ლ	250.00 ლ
2	ნიგვზის ჩურჩხელა რქაწითლი სტანდარტული	100 ცალი	3.00 ლ	300.00 ლ
			სულ:	550.00 ლ

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4

ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ს/ კ - 204578206

მიმწოდებელი
შპს "ბადაგი"

მისამართი: იურ. მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ 1.ბ.3, ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 1,6 კმ
ტელეფონი: 555 44 83 55
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი ბანკი", TBCBGE22 ანგ.# GE89TB7759436080100001

ს.კ. 404907222

ხელმძღვანელი

გიორგი ჩოგოვაძე

დირექტორი

ინგა ყაჯრიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2018 წლის 12 ნოემბრის N**1292 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი

გიორგი ჩოგოვაძე

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების
განმახორციელებელი პირი

ანა კეკელია